

ქციის სამონასტრო კომპლექსის სტრუქტურა და
ხუროთმოძღვრული სახე განვითარებულ შუა საუკუნეებში
(არქეოლოგიური მასალების მიხედვით)

სტუდენტი: დავით ფოლადიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, არქეოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: არქეოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნოდარ ბახტაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
თბილისი 2018

განაცხადი:

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

დავით ფოლადიშვილი

22/06/2018

ქციის სამონასტრო კომპლექსის სტრუქტურა და ხუროთმოძღვრული
სახე განვითარებულ შუა საუკუნეებში
(არქეოლოგიური მასალების მიხედვით)
აბსტრაქტი

ქციის ღვთისმშობლის შობის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს ქვემო ქართლში, დღევანდელ დმანისის მუნიციპალიტეტში, მდ. ხრამის ხეობის მარჯვენა ნაპირზე. დმანისის რაიონის ტერიტორიაზე შემორჩენილი ისტორიული ეკლესია-მონასტრების რაოდენობა 180 ერთეულს აღემატება. თვით ქალაქი დმანისი მუდმივად განიცდიდა მტერის შემოსევების სიმძიმეს, ხშირად იყო დაპყრობილი – არაბთა, თურქ სელჩუკთა და სხვათა მიერ. ეს იყო საქართველოს სამხრეთის კარიბჭე და მასზე გადიოდა უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზა, რომელიც კავკასიის მნიშვნელოვანი ქალაქებიდან, თვით საქართველოს დედაქალაქიდან სამხრეთით, წინა და ცენტრალური აზიის დაწინაურებულ კულტურულ-ეკონომიკური ცენტრებისკენ მიემართებოდა. სწორედ ამ მნიშვნელოვანი ქალაქის პოლიტიკურ-ეკონომიკურ არეალში იყო მოქცეული ქციის სამონასტრო კომპლექსი. მანამდე პრაქტიკულად სრულიად შეუსწავლელ ამ მონასტერში, მცირე მასშტაბის წინასარეაბილიტაციო არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა 2008–2009 წლებში. სამუშაოებს ხელმძღვანელობდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნოდარ ბახტაძე. ძირითადად შესწავლილ იქნა სამეკლესიანი ბაზილიკის აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე შენობა ნაგებობათა ნაშთები, რომლებიც გათხრების დაწყებამდე თითქმის სრულად იყო მიწის საფარქვეშ მოქცეული. სამეკლესიანი ბაზილიკა, საკმაოდ მოკრძალებულ ნაგებობას წარმოადგენს, არ გვხვდება ჩუქურთმები და ორნამენტები. ტაძარს ერთი, მხედრულად შესრულებული წარწერა აქვს კარიბჭესთან: „ესე სოფელი ქცია მტერმა ვერ დააქცია“. აღმოჩენილ იქნა როგორც საცხოვრებელი ასევე სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები. მათ შორისაა მართკუთხა წაგრძელებული ფორმის ორსართულიანი სატრაპეზო, პირველ სართულზე მარნით და მიმდებარე რეზერვუარით. აქ აღმოჩენილი ქვევრები, ძირითადად

პროდუქტის შესანახად გამოიყენებოდა. საატრაპეზოში აღმოჩენილი ჭურჭლის მიხედვით, მონასტერი საკმაოდ შეძლებული ყოფილა მისი არსებობის თითქმის ყველა პერიოდში. აქვეა აღმოჩენილი ე.წ. „2 ოთახიანი სენაკი“, რომელიც ეკლესიის სამხრეთ დასავლეთით მდებარეობს. როგორც კვლევებმა გვაჩვენა, ეს სენაკები შედგებოდა ერთი დიდი ზომის თითქმის კვადრატული საცხოვრებელი ოთახისაგან, რომელსაც წაგრძელებული დერეფანი ჰქონდა. სამწუხაროდ არ გვაქვს ნაგებობათა გადახურვის კონსტრუქცია. სავარაუდოდ, ამ ნაგებობათა სტილი მიახლოებულია ქართულ ხალხურ ხუროთმოძღვრებასთან, კერძოდ შუა საუკუნეების საცხოვრებლებში არაერთხელ აღმოჩენილ მეგარონის ტიპის საცხოვრებელთან. ტაძრის მახლობლად, ამ სენაკიდან ჩრდილო-დასავლეთით, კიდევ ერთი, ქართული მატერიალური კულტურის ისტორიისთვის მეტად მნიშვნელოვანი ძეგლი აღმოჩნდა. ამ ნაგებობაში დადასტურებული არქეოლოგიური დოკუმენტების საფუძველზე, თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ეს არის კერამიკის ნაწარმის დასამზადებელი ნედლეულის საწარმო. საქმე გვაქვს აშკარად სტაციონარულად გამოსაყენებელ სამეწარმეო ფართობთან. სამი მხრიდან მას მეტად დაბალი კედლები აქვს, აღმოსავლეთის მხრიდან კი საერთოდ გახსნილია. აქ გვხვდება წყლის აუზები და ნაგებობის იატაკ ქვეშ რეზერვუართა საკმაოდ რთული წყობა, რომლებიც ერთმანეთთან არიან კავშირში. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს სისტემები სასმელი წყლის უბრალო საცავია, რადგან ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, მონასტერს არ ჭირდებოდა მსგავსი რამ, ისედაც საკმაოდ წყალუბვია მისი შემოგარენი. წყლის ასეთი შემავალ გამავალი სისტემები სხვა არაფრისთვისაა გამიზნული თუ არა კერამიკის სამერწი ნედლეულის დასამზადებლად. როგორც ჩანს საკმაოდ კარგი და ხელსაყრელი პირობები იყო, რომ აღნიშნული საქმიანობა ეწარმოებინათ ბერ-მონაზვნებს. ეს ყოველივე კი მათი ცხოვრების წესი იყო, როგორც განმარტოება და ლოცვა, ასევე ხელსაქმე და შრომა. რეზერვუარების ფსკერებზე აღმოჩენილი თიხის ნაწარმი, მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკის სახით, ცხდყოფს, რომ ეს ნაგებობა არაუგვიანეს მე-11 – მე-12 საუკუნეებშია შექმნილი. არქეოლოგიურმა გათხრებმა ცხადჰყო, რომ ქციის სამონასტრო

კომპლექსმაც, თავისი განვითარების მწვერვალს მე-11-მე-12 საუკუნეებში მიაღწია, და მე-13 საუკუნის პირველ ნახევარშიც საკმაოდ მძლავრ ორგანიზაციად რჩებოდა. ამ პერიოდის აღმოჩენილი მასალა გვაჩვენებს მის საკმაოდ ძლიერ და შემღებულ ყოფას. ქციის მონასტერში ცხოვრება მოულოდნელად წყდება მე-14-მე-15 საუკუნეთა მიჯნაზე, რაც, დიდი ალბათობით, თემურ ლენგის გამანადგურებელ ლაშქრობებს უკავშირდება.

ძირითადი საძიებო სიტყვები : ქვემო ქართლი, დმანისი, სამეკლესიანი ბაზილიკა, კერამიკა, ქციის მონასტერი, მონაზონი, მეგარონი, სატრაპეზო, თემურ ლენგი.

Abstract

Ktsia monastery of the blessed virgin's birth is situated in the Kvemo Kartli (Dmanisi municipality) on the right side of Khrami ravine.

There are more than 180 historical churches and monasteries left in the territory of the Dmanisi district.

Dmanisi city often suffered from enemy's invasions, it was conquered many times by arab and Tuk-Seljuks. Dmanisi was gate to the south and it was one of the most important trade route, which was headed to central Asia's advanced cultural-economic centres from the Caucasus important cities as well as from the capital of Georgia.

Ktsia monastery complex was placed in the political life of Dmanisi. Small scale rehabilitation-archeological works were carried out in 2008-2009 years.

Works were led by the professor nodar bakhtadze.

Mainly they studied remnants of the buildings located to the East-South of the three church basilica, These remnants were thoroughly buried before the excavations. Three church basilica is very simple building . There are not any ornaments. There is an inscription on the gate " it is village Ktsia was not exterminated by the enemy" There were discovered dwelling and agricultural purpose buildings. Between them there is rectangular shape refectory with wine cellar including reservoir.

Pitchers were used for the keeping of food. Monastery was very rich in all periods of its existence.

There was discovered so called 2 room cell which is located to the South-West of the church. As studies have shown this cell was consisted of one big dwelling building. There is not left roof construction unfortunately.

Supposedly style of those buildings is closer to the Georgian folk architecture.

There was discovered one of the important cultural-material monument closer to church. We can say that it is ceramic manufacture, it has short walls from three sides and it is open from the East- side .

There are water pools and reservoir under the floor connected to each other. We can not think that these systems are for drinking water reservoir because that region is rich in water, those water systems were used for making ceramic materials. As it is seen there was convenient conditions for monks to run such a kind of job. It was rule of their life to pray in solitude and to work as well.

Clay products discovered on the surface of reservoir including glazed ceramic give us reason to think that this building was built in the XI-XII th century.

As archeological excavations showed, ktsia monastery achieved its peak of development in the XI-XII th century. It looked enough strong in the beginning of the XIII th century.

Life in Ktsia monastery was unexpectedly ceased in the XIV-XVth century which is connected to Temur-leng's devastating invasions.

Searching words: kvemo kartli, Dmanisi, three church basilica, ceramic, ktsia monastery, nun, megaron, refectory, temur leng